



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080161248110720

№ 1436

02 / აპრილი / 2020 წ.

**შპს „კლინტექის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 27 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს „კლინტექის“ (ს/ნ: 204442451) 2020 წლის 27 მარტის მომართვა და დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №3621, №3622 და №3791), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „კლინტექის“ (ს/ნ: 204442451) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2020 წლის 3 აპრილს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „კლინტექის“ (ს/ნ: 204442451) 2020 წლის 4 აპრილიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე